საქართველოს მთავრობის

დადგენილება №46

2014 წლის 10 იანვარი

ქ.თბილისი

საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების საფუძველზე:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტი“.

მუხლი 2

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 24 ივნისის №96 ბრძანება.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის ამოქმედებამდე არსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების ფორმები ინარჩუნებენ ძალას მათი მარაგის სრულ ამოწურვამდე.

3. ამ რეგლამენტით დამტკიცებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების ფორმების ნუმერაცია გაგრძელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების ფორმის ბოლო ნომრიდან.

4. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციაში გატარების მიზნით, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ უწყებებთან შესაბამისი პროცედურების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის დადგენილება №90 – ვებგვერდი, 21.01.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 სექტემბრის დადგენილება №563 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი 4

დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ – „ვ“ ქვეპუნქტების და მე-7 პუნქტის, ასევე მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2028 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №486 - ვებგვერდი, 09.10.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №374 - ვებგვერდი, 07.08.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №680 - ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №820 – ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მარტის დადგენილება №144 – ვებგვერდი, 01.04.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის დადგენილება №40 – ვებგვერდი, 27.01.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის დადგენილება №298 - ვებგვერდი, 09.06.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის დადგენილება №74 – ვებგვერდი, 22.02.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №518 – ვებგვერდი, 26.12.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 31.01.2025წ.

დანართი
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №563 - ვებგვერდი, 30.10.2015წ.

საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესები და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტით (შემდგომში – რეგლამენტი) რეგულირდება ხე-ტყის/ხე-მცენარის/ათვისებული ხე-ტყის ნარჩენის მოძრაობის, მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირებისა და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის (დანართი №1) შევსების, გაცემისა და გამოყენების წესები, მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დადგენისა და პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) მფლობელი მეწარმე სუბიექტის მიერ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოძრაობის აღრიცხვა-სისტემატიზაციისა და ანგარიშგების წესები.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №53 – ვებგვერდი, 06.02.2018წ.

მუხლი 2. გამოყენებულ ტერმინებს ამ რეგლამენტის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1. მრგვალი ხე-ტყე (მორი) – ხე-ტყის ან ხე/მცენარის დამზადების შედეგად (მათ შორის, ძირნაყარი ხე-ტყისგან) მიღებული 12 სმ-ზე მეტი (წვრილი თავის ბოლოდან) დიამეტრის, ასევე დადგენილი წესით დაფირნიშებული წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული მერქნული რესურსისა)) მქონე მერქნული რესურსი.
2. საშეშე მერქანი – ხეტყის დამზადების შედეგად, მათ შორის, ძირნაყარი ხეტყისგან მიღებული 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დაკოტრილი ან წვრილი ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი.

2^1. ხე-მცენარე – მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული მერქნული რესურსი და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსი.

3. ხე-ტყით მოსარგებლე – პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს ხე-ტყის მოპოვების უფლება ან ხე-ტყის მესაკუთრე, ასევე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მესაკუთრე.

4. დამზადების ადგილი – სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე გამოყოფილი ტყეკაფი ან სახელმწიფო ტყის სხვა ტერიტორია, ასევე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორია, სადაც მოხდა ხე-ტყის/ხე-მცენარის მოპოვება ან სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე გამოყოფილი ტყეკაფი ან სახელმწიფო ტყის სხვა ტერიტორია, სადაც მოხდა ხე-ტყის ნარჩენის ათვისება.

5. ხე-ტყის დატვირთვის ადგილი – ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, ტყითსარგებლობის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების მფლობელისთვის სახელმწიფო ტყეში საქმიანობის განსახორციელებლად გადაცემული სამოქმედო ტერიტორიის კონკრეტული ადგილმდებარეობა, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და

დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შიგა წყლების ნაპირების (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) კონკრეტული ადგილმდებარეობა, სადაც უნდა განხორციელდეს ხე-ტყის/ხე-მცენარის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა.

5[1]. ხე-ტყის ნარჩენის დატვირთვის ადგილი – ხე-ტყის ნარჩენის ათვისების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების მფლობელისთვის სახელმწიფო ტყეში საქმიანობისთვის გადაცემული სამოქმედო ტერიტორიის კონკრეტული ადგილმდებარეობა, სადაც უნდა განხორციელდეს ხე-ტყის ნარჩენის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა.

6. ლიცენზიანტი – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ფლობს ტყით სარგებლობის გენერალურ ან ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიას.

7. გადამზიდავი პირი – პირი, რომელიც ახორციელებს ხე-ტყის ან ხე-მცენარისგან მიღებული მერქნული რესურსის ტრანსპორტირებას.

8. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა – ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შეუვსებელი ფორმა, რომლის დამზადებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონი.

9. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი – მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ხე-ტყის, ხე-მცენარის ან ათვისებული ხე-ტყის ნარჩენის ტრანსპორტირება, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

10. სპეციალური ფირნიში – ამ რეგლამენტის №11 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად დამზადებული ფირნიში, რომელიც ადასტურებს მრგვალი ხე-ტყის (მორის) კანონიერ წარმოშობას და დადგენილი წესით, აღირიცხება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

11. პირველადი გადამუშავების პროდუქტი – ხე-ტყის ან ხე-მცენარის გადამუშავების შედეგად მიღებული ფიცარი (ჩამოგანული ან ჩამოუგანავი), ძელი, ძელაკი, შპალი, საპარკეტე ფრიზა, შავად ნამზადი დეტალი, დაპობილ-დაჩეხილი სათბობი შეშა, ფანერა (შპონი).

12. ფიცარი – სიგრძეზე დახერხილი მორის ნაწილი, რომლის სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ორჯერ და მეტად აღემატება სისქეს. ფიცარს აქვს ორი განიერი და ორი ვიწრო გვერდი.

13. ძელი – სიგრძეზე დახერხილი ან გათლილი ხე (მორის ნაწილი), რომლის სისქე და სიგანე განივ ჭრილში 10 სანტიმეტრს აღემატება. ძელი შეიძლება იყოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოხერხილი.

14. ძელაკი – მცირე ზომის ძელი, სიგრძეზე გახერხილი მორის ნაწილი. მისი სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ნაკლებია ორმაგ სისქეზე.

15. შპალი – დახერხილი ხის მასალა, რომელიც გამოიყენება რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის ვაკისზე რელსების საყრდენად. შპალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ძელისებური, ორმხრივ ჩამოხერხილი (ჩამოგანული) და სწორკუთხოვანი. შპალი შეიძლება იყოს გაჟღენთილი ან გაუჟღენთავი.

16. შავად ნამზადი დეტალი – გარკვეული პროდუქტის მისაღებად საჭირო ზომისა და ფორმის ნამზადი, რომლის მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება სასურველი სახის დეტალი.

17. ფანერა (შპონი) – სპეციალურ დაზგა-დანადგარზე მერქნის დაშლით მიღებული და გარკვეული ზომის ფორმატებად დაჭრილი ან მერქნის მცირე სისქის ანათლებად აჭრილი პროდუქტი.

18. საპარკეტე ფრიზა – მცირე ზომის ნამზადი, რომლის შეშრობისა და მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება პარკეტი.

19. ნაგვერდული – სახერხი საამქროს მიერ მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის გადამუშავების (დახერხვის) დროს ნაპირზე ჩამოთლილი მორის არაუმეტეს 3 სანტიმეტრი სისქის მქონე (უქერქოდ) ნაწილი, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ორი გვერდი: ერთი სწორი (ჩანახერხი მხარე) და მეორე დაუმუშავებელი (ამობურცული მხარე).

20. სახერხი დანადგარი – მრგვალი ხე-ტყის (მორის), ასევე ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების ტექნოლოგიური საშუალებები (დაზგა-დანადგარები და მოწყობილობები, მათ შორის მათი სამაგრი მოწყობილობები).

21. მოქმედი სახერხი დანადგარი – სახერხი დანადგარი, რომლის უძრავი ან/და მოძრავი ნაწილები დამონტაჟებულია.

22. უმოქმედო სახერხი დანადგარი – სახერხი დანადგარი, რომლის უძრავი ნაწილები ადგილზეა, ხოლო მოძრავი ნაწილები დაშლილი ან გატანილია ადგილიდან.

23. სახერხი საამქროს სრული დემონტაჟი – სახერხი დანადგარი, ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის), ან/და მოწყობილობის უძრავი და მოძრავი ნაწილები (მათ შორის სამაგრი მოწყობილობები) არ არის დამაგრებული საქმიანობის განხორციელების ადგილზე.

24. გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები – სახერხი საამქროს მიერ მრგვალი ხე-ტყის (მორის), ასევე ხე-მცენარის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ხის ნაფოტი, ბურბუშელა, ნახერხი. ასევე ხის სხვა ისეთი ნარჩენები, რომელთა განთავსების ადგილიდან გადაადგილება/გაფანტვა შესაძლებელია ქარის მეშვეობით.

25. ბუნკერი – სახერხი საამქროს ტერიტორიაზე არსებული სათავსო (საცავი) ან ნაგებობა, რომელიც გამოიყენება გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის.

26. მდინარის ან ხევის კალაპოტი – მდინარის ან ხევის ის ნაწილი, სადაც გაედინება მდინარის ან ხევის წყალი მაქსიმალური დონის (წყალუხვობის) პერიოდში.

27. ტბებისა და წყალსაცავების წყალდაცვითი ზოლი – წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული (მაქსიმალური დონის) შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან 300 მეტრის ფარგლებში არსებული ტერიტორია.

28. შავი ზღვის სანაპირო ზოლი – ზღვის ნაპირიდან 300 მეტრის ფარგლებში არსებული ტერიტორია.

29. მაღალმთიანი რეგიონი – „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოფლების, თემებისა და დაბების ჩამონათვალში არსებული დასახლება.

30. საანგარიშო პერიოდი – ყოველი თვის პირველი რიცხვიდან მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე პერიოდი.

31. სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

32. მინისტრი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

33. სააგენტო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო.

34. დეპარტამენტი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

35. ელექტრონული სისტემა – საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყით სარგებლობასთან, ხე-ტყის მოძრაობასთან და პირველად გადამუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების აღრიცხვის მიზნით შექმნილი მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც მონაცემების ასახვა

ხორციელდება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

36. ელექტრონული ჟურნალი – სახერხი საამქროს ელექტრონული მართვის მოდული, რომლის წარმოება ხორციელდება ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

37. ელექტრონული ფოსტა help@des.gov.ge – ელექტრონული ფოსტა, რომელზეც ხე-ტყით მოსარგებლის ან სახერხი საამქროს მფლობელის მიერ შესაძლებელია, გაგზავნილ იქნეს შეტყობინება, შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება ამ რეგლამენტით განსაზღვრულ საქმიანობას.

38. მუნიციპალიტეტების ჯგუფები:

ა) კახეთის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ბ) ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

გ) იმერეთის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

დ) გურიის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ე) სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ვ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ზ) შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

თ) მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ი) სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების ჯგუფი – რომლის ტერიტორია მოიცავს ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ივნისის დადგენილება №285 – ვებგვერდი, 12.06.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №53 – ვებგვერდი, 06.02.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

თავი II
ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა, დოკუმენტის გაცემა, მათ გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები

მუხლი 3. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის, მისი ფორმისა და სპეციალური ფირნიშის გამოყენების (მარკირების), ასევე მათი აღრიცხვისა და ანგარიშგების ზოგადი წესები

1. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხე-ტყის კანონიერ წარმოშობას, დადგენილი წესით ივსება ხე-ტყის დამზადების ადგილზე, ხე-ტყის მორთრევის შემთხვევაში – ხე-ტყის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის ადგილზე, სააგენტოს მიერ ხე-ტყის დახარისხების შემთხვევაში – დახარისხების ადგილზე, ათვისებული ხე-ტყის ნარჩენის გამოტანის შემთხვევაში – სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის ადგილზე, ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყებამდე.
2. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა იბეჭდება და ივსება ქართულ ენაზე. დოკუმენტი ივსება გარკვევით ლურჯი ან შავი ფერის ბურთულიანი კალმით, შეუვსებელი რეკვიზიტები აღინიშნება (გადაიხაზება) „Z“-ით. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა ეგზემპლარზე გარკვევით იკითხებოდეს შესაბამისი ინფორმაცია.

3. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადგენილი წესით ივსება აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

4. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის მიღებისა და გაცემის რეგისტრაცია, ასევე უკან დაბრუნებული, დაზიანებული, გაუქმებული ან/და დაკარგული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის აღრიცხვა წარმოებს ზონარგაყრილ, დანომრილ, დამოწმებულ და ამ რეგლამენტის №2 და №3 დანართებით დადგენილი ფორმების შესაბამის ჟურნალებსა და ელექტრონულ სისტემაში, დოკუმენტის ფორმის გამცემი ორგანოს მიერ.

5. ლიცენზიანტზე ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელზე, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის გაცემის რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო, ხოლო დაზიანებული, გაუქმებული ან/და დაკარგული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის აღრიცხვას ახორციელებს დეპარტამენტი ზონარგაყრილ, დანომრილ, დამოწმებულ და ამ რეგლამენტის №7 და №9 დანართებით დადგენილი ფორმების შესაბამის ჟურნალებსა და ელექტრონულ სისტემაში.

6. სპეციალური ფირნიშის მიღებისა და გაცემის რეგისტრაცია, ასევე უკან დაბრუნებული, დაზიანებული, გაუქმებული ან/და დაკარგული სპეციალური ფირნიშის აღრიცხვა წარმოებს ზონარგაყრილ, დანომრილ, დამოწმებულ და ამ რეგლამენტის №4 და №5 დანართებით დადგენილი ფორმების შესაბამის ჟურნალებსა და ელექტრონულ სისტემაში მისი გამცემი ორგანოს მიერ.

7. ლიცენზიანტზე ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელზე, სპეციალური ფირნიშის გაცემის რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო, ხოლო დაზიანებული, გაუქმებული ან/და დაკარგული სპეციალური ფირნიშის აღრიცხვას აწარმოებს დეპარტამენტი ზონარგაყრილ, დანომრილ, დამოწმებულ, ამ რეგლამენტის №8 და №10 დანართებით დადგენილი ფორმის ჟურნალებსა და ელექტრონულ სისტემაში.

8. გაუხარჯავი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმები ან/და სპეციალური ფირნიშები ტყითსარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში, ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოში.

9. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა იბეჭდება 2 ეგზემპლარად.

10. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შესაბამისი ფორმის სტამბური წესით დაბეჭდვას უზრუნველყოფს საქართველოს ტყის კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანო. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის დაბეჭდვისას ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაციის განსაზღვრა ხორციელდება შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) სააგენტოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 1000000000-დან;

ბ) სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს (შემდგომში – დაცული ტერიტორიების სააგენტო) მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 2000000000-დან;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შემავალი სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 3000000000-დან;

დ) ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 4000000000-დან;

ე) ხე-ტყით მოსარგებლის მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 5000000000-დან;

ვ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის ან მის მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირის მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 6000000000-იდან.

11. ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი ვალდებულია:

ა) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემები, დოკუმენტის შევსებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, სრულყოფილად და სწორად ასახოს ელექტრონულ სისტემაში და ატვირთოს მატერიალური სახის ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე არ განახორციელოს ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისება (მიწოდება);

გ) ყოველი თვის განმავლობაში შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი – მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით პერიოდში წარადგინოს დეპარტამენტში ან მის ტერიტორიულ ორგანოში. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი რჩება ხე-ტყით მოსარგებლეს;

დ) არამარკირებული ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისებისას (მიწოდებისას), გასხვისებული (მიწოდებული) ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყებამდე ელექტრონულ სისტემაში ასახოს შემდეგი მონაცემები: ხე-ტყის ჯიში (სახეობა), მოცულობა ($მ^3$), გასხვისების თარიღისა და მყიდველის მონაცემები (შესაბამისი დასახელება, ან გვარი და სახელი, შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი).

12. ელექტრონულ სისტემაში მატერიალური სახის ხე-ტყის წარმოშობის შესაბამისი დოკუმენტის არასწორად ატვირთვის შემთხვევაში, ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში, წარუდგინოს დეპარტამენტს იმ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი, რომლის ატვირთვის ვალდებულებაც გააჩნდა ან დასკანერებული სახით გადააგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე – help@des.gov.ge.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიცენზიანტს ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემები ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით არის ასახული ელექტრონულ სისტემაში. ამ შემთხვევაში, დეპარტამენტი უზრუნველყოფს ელექტრონულ სისტემაში არასწორად ატვირთული დოკუმენტის წარდგენილი დოკუმენტით ჩანაცვლებას.

14. ტრანსპორტირების დაწყების შემდეგ დეპარტამენტის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში ინფორმაციის არასწორად ან არასრულყოფილად ასახვის შემთხვევის გამოვლენისას, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარების (მათ შორის, სასამართლოს ან უფლებამოსილი ორგანოს კანონიერი ძალაში შესული გადაწყვეტილების) ან შესაბამისი დოკუმენტის (აქტის) შედგენის შემდეგ, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ, კომპეტენციის შესაბამისად, ეცნობება სააგენტოს ან დაცული ტერიტორიების სააგენტოს ან აჭარის სატყეო სააგენტოს ან ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას ან გორის მუნიციპალიტეტის მერიას ან მის მიერ უფლებამოსილ იურიდიულ პირს არასწორი ან არასრულყოფილად შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაუქმების ან/და ახალი

დოკუმენტის შევსების მიზნით.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიცენზიანტს ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელს დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი არასრულადაა შევსებული ან ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-3, მე-4 (მე-4 რეკვიზიტის მე-4 გრაფის (მორის მოცულობა) გარდა), მე-7 ან მე-9 რეკვიზიტებში დაშვებულია უზუსტობა ან არ შეესაბამება ფაქტობრივ მონაცემებს.

16. თუ სწორად შევსებული და ელექტრონულ სისტემაში ატვირთული შესაბამისი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემები არ შეესაბამება ელექტრონულ სისტემაში ასახულ მონაცემებს, ლიცენზიანტს ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელს უფლება აქვს განახორციელოს ამ მონაცემების რედაქტირება (გარდა ატვირთული მატერიალური სახის ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისა) დოკუმენტის შევსებიდან არაუგვიანეს 48 საათისა. ამ შემთხვევაში, ლიცენზიანტს ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

17. დოკუმენტის შევსებიდან 48 საათის გასვლის შემდეგ, თუ სწორად შევსებული და ელექტრონულ სისტემაში ატვირთული შესაბამისი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემები არ შეესაბამება ელექტრონულ სისტემაში ასახულ მონაცემებს, ელექტრონულ სისტემაში მონაცემების ასახვიდან 96 საათის განმავლობაში, ხე-ტყით მოსარგებლის მიერ დეპარტამენტისათვის წერილობით ან/და ელექტრონულ ფოსტაზე – help@des.gov.ge წარდგენილი შეტყობინების შემდეგ მონაცემთა რედაქტირებას ახორციელებს დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომელი. ამ შემთხვევაში, ხე-ტყით მოსარგებლეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, სწორად შევსებული და ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტის მე-3, მე-4 (მე-4 რეკვიზიტის მე-4 გრაფის (მორის მოცულობა) გარდა), მე-9 რეკვიზიტებსა და ელექტრონულ სისტემაში ასახულ შესაბამის მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოვლენის, ასევე მე-7 რეკვიზიტსა და ელექტრონულ სისტემაში ასახულ შესაბამის მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში (სტილისტური უზუსტობის გარდა), მოსარგებლეს დაეკისრება პასუხისმგებლობა.

18. სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ მრგვალ ხე-ტყეზე (მორზე) შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი გაცემიდან (შევსებიდან) არაუმეტეს 72 საათისა უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამის ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის ჩაბარებიდან არაუმეტეს 72 საათისა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემების დადგენილი წესით ასახვას და მატერიალური სახის ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარის ატვირთვას. საშეშე ხე-ტყეზე გამოწერილი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა ბარდება სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამის ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის ჩაბარებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა ელექტრონულ სისტემაში ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემების დადგენილი წესით ასახვას და მატერიალური სახის ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარის ატვირთვას. იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში არასწორად ან არასრულყოფილადაა ასახული ინფორმაცია, სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამისი ორგანოს ან მისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის დადგენილი წესით გაუქმების, მის ნაცვლად ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და ელექტრონულ სისტემაში ასახვის თაობაზე.

19. მრგვალი ხე-ტყის (მორის) სიგრძის გაზომვის დროს დასაშვებია ცდომილება არაუმეტეს - 5 სანტიმეტრით, ხოლო დიამეტრის (უქერქოდ) გაზომვის დროს - არაუმეტეს - 2 სანტიმეტრით. მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა იანგარიშება მრგვალი ხე-ტყის (მორის) სიგრძისა და წვრილი თავის დიამეტრის (უქერქოდ) მიხედვით, №12 დანართით განსაზღვრული ცხრილების შესაბამისად. ელექტრონულ სისტემაში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა იანგარიშება ავტომატურად. მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა, რომლის სიგრძე ან წვრილი თავის დიამეტრი არ არის გათვალისწინებული №12 დანართით განსაზღვრულ ცხრილებში, იანგარიშება მრგვალი ხე-ტყის (მორის) სიგრძისა და შუა წელის დიამეტრის (უქერქოდ) მიხედვით, №13 დანართით განსაზღვრული ფორმულით.

20. მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირება ხორციელდება მორის ერთ-ერთ გადანაჭრელზე. ფირნიში მორზე მაგრდება სპეციალური ჩაქუჩით, რის შედეგადაც ფირნიშის მჭრელი ფეხები ბოლომდე უნდა ჩამაგრდეს მორში. იმ შემთხვევაში, თუ მარკირების შემდეგ მორსა და ფირნიშს შორის დარჩა

სიცარიელე (ფირნიში ბოლომდე არ არის ჩამაგრებული მორში), ასეთი ფირნიში ითვლება დაზიანებულად, იგი ექვემდებარება მორიდან ამოღებას, ხოლო მორი მარკირდება თავიდან, ახალი ფირნიშით. მარკირების პროცესში დაზიანებული სპეციალური ფირნიში ბარდება სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოს, მისი დაზიანებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, ხოლო ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის შემთხვევაში – დეპარტამენტის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში.

21. გამოსაყენებლად უვარგისი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის ან სპეციალური ფირნიშის ჩამოწერა შესაძლებელია შევსების დროს დაშვებული შეცდომის ან დაზიანების გამო ჩამოწერის აქტის (დანართი №6) მიხედვით, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშის ნომრისა და ჩამოწერის მიზეზების მითითებით. გამოსაყენებლად უვარგისი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშის უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

22. ყველა ჩანაწერი ამ მუხლით გათვალისწინებულ ჟურნალში უნდა გაკეთდეს გარკვევით ლურჯი ან შავი ფერის ბურთულიანი კალმით. დაუშვებელია ჟურნალში ჩანაწერების ამოშლა, გადაშლა, გადასწორება. აუცილებლობიდან გამომდინარე, შეცდომით გაკეთებული ჩანაწერი მკრთალად გადაიხაზება ისე, რომ ნათლად შეიძლებოდეს შეცდომით გაკეთებული ჩანაწერის წაკითხვა. ახალი ჩანაწერი კეთდება იმავე სვეტში შემდეგ სტრიქონზე გარკვევით, ხოლო სვეტში „შენიშვნა“ პირი, რომელიც პასუხისმგებელია ჟურნალის წარმოებაზე, აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც მითითებულ უნდა იქნეს შესწორებული რეკვიზიტის ნომერი, თარიღი, ხელმოწერა (სახელი, გვარი).

23. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში რაიმე შესწორების შეტანა დაუშვებელია.

24. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსებისას დაშვებული შეცდომის დროს ან იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა შევსებულია (ხელმოწერილია) და შეცდომა აღმოჩენილ იქნა ხე-ტყის შესაბამისი დამზადების ან ხე-ტყის დატვირთვის ადგილიდან ტრანსპორტირების დაწყებამდე, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსების უფლების მქონე პირი უფლებამოსილია გამოწეროს ხე-ტყის წარმოშობის ახალი დოკუმენტი.

25. იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში შეცდომა აღმოჩენილ იქნა ხე-ტყის დამზადების ან დატვირთვის ადგილიდან ტრანსპორტირების დაწყების შემდგომ, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაუქმების ან/და ახალი დოკუმენტის შევსების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოს.

26. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით გაუქმებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი (ასევე მეორე ეგზემპლარი, მისი არსებობის შემთხვევაში) უნდა გადაიხაზოს ჯვარედინად და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაუქმების მიზეზის მითითებით, შესაბამისად ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით დადგენილ შესაბამის ვადებში ჩაბარდეს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოს ან დეპარტამენტის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

27. სოციალური ჭრის შემთხვევაში, შესაბამისი მართვის ორგანოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაუქმებისა და ახალი დოკუმენტის გამოწერის თაობაზე ეცნობება ხე-ტყით მოსარგებლეს, რომელსაც მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე გადაეცემა ხე-ტყის წარმოშობის ახალი დოკუმენტი.

28. ამ მუხლის 25-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა ივსება იმავე წესით, რომელიც დადგენილია ამ რეგლამენტით, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისებისა, კერძოდ:

ა) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება შესაბამისი დოკუმენტის (აქტის) რეკვიზიტები, გაუქმებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან/და დაკარგული/დაზიანებული/გაუქმებული ფირნიშის ნომერი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამოწერა;

ბ) მე-6 და მე-8 რეკვიზიტები გადაიხაზება Z-ით, თუ ტრანსპორტირება აღარ ხორციელდება;

გ) მე-7 რეკვიზიტში დანიშნულების ადგილის ნაცვლად, მიეთითება ხე-ტყის განთავსების ადგილი (ფაქტობრივი ადგილმდებარეობა), ხოლო ტრანსპორტირების შემთხვევაში – დანიშნულების ადგილი;

დ) ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მიმართ უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-18 პუნქტით დადგენილი შესაბამისი პროცედურები;

ე) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხე-ტყით მოსარგებლის (ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის) შემთხვევაში ხორციელდება მის მიერ წარდგენილი საქართველოს მთავრობის დადგენილებით ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისთვის განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) შესაბამისად;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში შეცდომა აღმოჩენილ იქნა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემების მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში შეტანის შემდეგ, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი არ გაუქმდება. შესაბამის ფირნიშის ნომერს ელექტრონულად მიენიჭება სტატუსი (დაკარგული/ დაზიანებული/გაუქმებული) და მის ნაცვლად, დადგენილი წესით, გაიწერება ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, რომელიც დადგენილ ვადაში აიტვირთება ელექტრონულ სისტემაში;

ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (გაუქმებული/ დაკარგული/დაზიანებული) ფირნიშის საფუძველზე, ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაწერისას, დოკუმენტის პირველ რეკვიზიტში ჩაიწერება ახალი ხე-ტყით მოსარგებლის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის საფუძველზე შეცდომა დაშვებულია ელექტრონულ სისტემაში შეტანილ ინფორმაციაში, შეცდომის გასწორება უნდა მოხდეს შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, „შეცდომის გასწორების“ უწყისიდან.

29. სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოების შესაბამის თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის (შევსების) ან ელექტრონულ სისტემაში ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემების ასახვის ან/და მატერიალური სახით ატვირთვის უფლებამოსილება, ამ რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის, დადგენილი წესით, შესაძლებელია, დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ შეცდომა დაშვებულია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-3, მე-4 (მე-4 რეკვიზიტის მე-4 გრაფის (მორის მოცულობა) გარდა) ან მე-9 გრაფებში.

30. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის, მისი ფორმისა და სპეციალური ფირნიშის გამოყენების (მარკირების), მათი აღრიცხვისა და ანგარიშგების სპეციალური წესები ასევე განისაზღვრება ამ რეგლამენტის სხვა შესაბამისი მუხლებით.

31. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტის მე-4 გრაფაში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის, გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №473 – ვებგვერდი, 30.10.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №53 – ვებგვერდი, 06.02.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის დადგენილება №347 – ვებგვერდი, 04.07.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №66 – ვებგვერდი, 18.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 ნოემბრის დადგენილება №454 – ვებგვერდი, 21.11.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის დადგენილება №434 - ვებგვერდი, 01.10.2025წ.

მუხლი 4. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოებია:
ა) სააგენტო;

ბ) დაცული ტერიტორიების სააგენტო;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შემავალი სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტო (შემდგომში – აჭარის სატყეო სააგენტო);

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ან ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე;

ვ) გორის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლით განსაზღვრული ორგანოები ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტს გასცემენ სოციალური ჭრების განხორციელების შედეგად მოპოვებულ ხე-ტყეზე, მათ შორის ამ რეგლამენტით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №53 – ვებგვერდი, 06.02.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №66 – ვებგვერდი, 18.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 ნოემბრის დადგენილება №454 – ვებგვერდი, 21.11.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №283 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

მუხლი 5. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო, ხე-ტყით მოსარგებლეზე გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები

1. ხე-ტყით მოსარგებლეზე (ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოა სააგენტო.
2. ხე-ტყით მოსარგებლეზე (ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების გაცემის საფუძველია შესაბამისი ტყით სარგებლობის გენერალური ან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის შესახებ ხელშეკრულება.

3. სააგენტო ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და შესაბამისი სპეციალური ფირნიშების გაცემას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი განაცხადისა და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშის გაცემისთვის განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) წარდგენიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. სააგენტოს მიერ სპეციალური ფირნიშის ამ რეგლამენტის მე-4 მუხლში მითითებულ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებზე გადაცემა ხორციელდება დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე.

5. ხე-ტყით მოსარგებლე (ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი) ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა დაცული იყოს მასზე გადაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმები და სპეციალური ფირნიშები დაკარგვის ან სხვაგვარი ზემოქმედებისგან. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის ან სპეციალური ფირნიშის დაკარგვის შემთხვევაში, ხე-ტყით მოსარგებლე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის ასახვის მიზნით.

მუხლი 6. სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე საქართველოს ტყის კოდექსის 21-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტის გაცემა, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირთა უფლება-მოვალეობები

1. სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველია ხე-ტყის დამზადების ბილეთი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემის საფუძველია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში მომსახურების საფასურის

გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი) და ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი).

2^1. სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ სპეციალურად მოწყობილი დასაწყობების ადგილებიდან (მათ შორის, საქმიანი ეზოებიდან) ხეტყით სარგებლობის ბილეთის საფუძველზე გაცემულ საშეშე მერქნულ რესურსზე შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტის დამატებით გაცემა არ ხდება და მისი ტრანსპორტირების საფუძველია მხოლოდ ზედნადები ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტი. სპეციალურად მოწყობილი დასაწყობების ადგილებიდან (მათ შორის, საქმიანი ეზოებიდან) საშეშე მერქნული რესურსის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების (მიტანის) ვადაა 12 საათი და ასეთი რესურსის ტრანსპორტირებაზე არ ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესები.

3. სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსებამდე და სატრანსპორტო საშუალებაზე ხე-ტყის დატვირთამდე სავალდებულოა:

ა) I ხარისხის ხიდან მიღებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშით, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) I ხარისხის ხიდან მიღებული იმ მერქნული რესურსის 60 სანტიმეტრამდე დაკოტრვა, რომლის მარკირებაც არ განხორციელდა ხეტყით მოსარგებლის მოთხოვნით;

გ) II ხარისხის ხიდან მიღებული მერქნული რესურსის 60 სანტიმეტრამდე დაკოტრვა, გარდა ხეტყის ცოცხალი გამწევი ძალით მორთრევისა.

4. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) მოითხოვოს ხე-ტყის დამზადების ბილეთი, მომსახურების საფასურისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები (ქვითრები), ასევე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში დასაფიქსირებელი შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის მონაცემები სატრანსპორტო საშუალებისა და ხე-ტყის გადამზიდავი პირის შესახებ);

ბ) შეამოწმოს ფაქტობრივად დამზადებული მერქნული რესურსის ოდენობისა და სახეობის შესაბამისობა ხე-ტყის დამზადების ბილეთში ასახულ მონაცემებთან;

გ) განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ:

გ.ა) არარსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი, მათ შორის, გადახდილი თანხა არ შეესაბამება ხე-ტყის დამზადების ბილეთში მითითებულ მოცულობას;

გ.ბ) დარღვეულია ხე-ტყის ათვისების ვადები;

გ.გ) ხე-ტყის დამზადების ბილეთით გათვალისწინებული და ფაქტობრივად არსებული ხე-ტყის დამზადების ადგილი არ შეესაბამება ერთმანეთს;

გ.დ) მოპოვებული რესურსის სახეობა (ჯიში) არ შეესაბამება, ხოლო ოდენობა აღემატება ხე-ტყის დამზადების ბილეთში ასახულ მონაცემებს.

5. ამ მუხლით დადგენილ შემთხვევაში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადების ან ხე-ტყის დატვირთვის ადგილიდან ტრანსპორტირების დაწყებამდე. ამასთან, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:

ა) დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) მარკირებული მერქნული რესურსის სახეობა (ჯიში), სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის

დიამეტრი (სმ), მოცულობა (მ) ჯიშების მიხედვით, ასევე შესაბამისი სპეციალური ფირნიშის ნომრები აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში მოცემულ ცხრილში. ცხრილის შეუვსებელი რეკვიზიტები გადაიხაზება - Z-ით. ამასთან, ამავე რეკვიზიტში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის, გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა. ხოლო ჯირკის (ფესვებით) ტრანსპორტირების შემთხვევაში, მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში მიეთითება ციფრი - 0.

გ) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს, გარდა მე-7 რეკვიზიტში „დანიშნულების ადგილში“ მისათითებელი ინფორმაციისა, რომლის შევსებაც ხორციელდება ხე-ტყით მოსარგებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

6. დაუშვებელია არასრულად შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ხე-ტყით მოსარგებლეზე ან გადამზიდავ პირზე გადაცემა.

7. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს, ხოლო მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ხე-ტყით მოსარგებლეს ან გადამზიდავ პირს. გადამზიდავი პირი ვალდებულია ტრანსპორტირების დასრულებისას შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი გადასცეს ხე-ტყით მოსარგებლეს.

8. აკრძალულია:

ა) სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხეტყის ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის, ასევე ხეტყის სარგებლობის ბილეთით შეძენილი საშეშე მერქნული რესურსის ნებისმიერი ფორმით გასხვისება;

ბ) სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხეტყის ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის, ასევე ხეტყის სარგებლობის ბილეთით შეძენილი საშეშე მერქნული რესურსის ტრანსპორტირება იმ მუნიციპალიტეტების ჯგუფის ან ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს გარეთ, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სოციალური ჭრის წესით ხეტყის დამზადება ან სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ სპეციალურად მოწყობილი დასაწყობების ადგილიდან (მათ შორის, საქმიანი ეზოებიდან) ხეტყით სარგებლობის ბილეთის საფუძველზე საშეშე მერქნული რესურსის გატანა, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხეტყით უზრუნველყოფისას და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ან ქ. თბილისის ადგილობრივი მოსახლეობისთვის II ხარისხის ხის დამზადების მიზნით, სოციალური ჭრის ტყეკაფი გამოყოფილია ავტონომიური რესპუბლიკის ან შესაბამისი მუნიციპალიტეტების ჯგუფის ან ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს გარეთ ან, თუ სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ სპეციალურად მოწყობილი დასაწყობების ადგილი (მათ შორის, საქმიანი ეზო), საიდანაც ხეტყით სარგებლობის ბილეთის საფუძველზე ხდება უკვე დამზადებული საშეშე მერქნული რესურსის გატანა, მდებარეობს ამ საზღვრებს გარეთ;

გ) ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემიდან ერთი წლის შემდეგ სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული მარკირებული ხე-ტყის, აგრეთვე სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირება.

9. სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხეტყის ან სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხეტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის, ასევე სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ სპეციალურად მოწყობილი დასაწყობების ადგილიდან (მათ შორის, საქმიანი ეზოდან) ხეტყით სარგებლობის ბილეთის საფუძველზე გამოტანილი საშეშე მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისადმი ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა წარმოადგენს სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხეტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №590 – ვებგვერდი, 24.11.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №146 - ვებგვერდი, 31.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №590 – ვებგვერდი, 15.12.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 6[1]. სახელმწიფო ტყიდან ათვისებული ხე-ტყის ნარჩენის ტრანსპორტირებაზე სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა

1. სახელმწიფო ტყიდან ხე-ტყის ნარჩენის ტრანსპორტირებაზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირი ვალდებულია:
ა) მოითხოვოს ხე-ტყის ნარჩენის (მათ შორის, ადგილზე დაქუცმაცებული ნარჩენის) გამოტანის უფლებისა და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები (შესაბამისი სანებართვო დოკუმენტი, გადახდის ქვითარი), ასევე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში დასაფიქსირებელი შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის, მონაცემები სატრანსპორტო საშუალებისა და გადამზიდავი პირის შესახებ);

ბ) შეამოწმოს სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ხე-ტყის ნარჩენის მოცულობა;

გ) განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ:

გ.ა) არ არსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი;

გ.ბ) ხე-ტყის ნარჩენის დატვირთვის ან დამზადების ფაქტობრივი ადგილი არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტებს.

2. ხე-ტყის ნარჩენის გამოტანაზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხდება ნარჩენის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვის შემდგომ, დატვირთვის ადგილიდან ტრანსპორტირების დაწყებამდე. ამასთან, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:

ა) დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) მე-3 რეკვიზიტის პირველ გრაფაში – „ხე-ტყის ჯიში“ უნდა მიეთითოს – „ხე-ტყის ნარჩენი“, ხოლო მეორე გრაფაში – „ხე-ტყის მოცულობა“ უნდა მიეთითოს სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსებული ხე-ტყის ნარჩენის (მათ შორის, დაქუცმაცებულ მდგომარეობაში) მოცულობა; მე-4 რეკვიზიტი არ ივსება და ყველა გრაფა გადაიხაზება Z-ით;

გ) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს, გარდა მე-7 რეკვიზიტში – „დანიშნულების ადგილი“ მისათითებელი ინფორმაციისა, რომლის შევსებაც ხორციელდება დაინტერესებული პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

3. დაუქუცმაცებელი ხე-ტყის ნარჩენის გამოტანისას ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის შემთხვევაში ნარჩენის მოცულობის განსაზღვრისას დგინდება სატრანსპორტო საშუალების ძარის მოცულობა $მ^3$-ში. ფოთლოვანი სახეობის ხის ნარჩენი დაანგარიშდება 0,20 კოეფიციენტზე ნამრავლით, შერეული (წიწვოვან-ფოთლოვანი) სახეობის შემთხვევაში – 0,25 კოეფიციენტით, ხოლო წიწვოვანი სახეობის შემთხვევაში – 0,30 კოეფიციენტით.

4. დაუშვებელია არასრულად შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის დაინტერესებულ პირზე ან გადამზიდავ პირზე გადაცემა.

5. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს, ხოლო მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა დაინტერესებულ პირს ან გადამზიდავ პირს. გადამზიდავი პირი ვალდებულია, ტრანსპორტირების დასრულებისას შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი გადასცეს დაინტერესებულ პირს.

6. გადამზიდავი პირი ვალდებულია, თან იქონიოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ხე-ტყის ნარჩენის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №53 – ვებგვერდი, 06.02.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 ივლისის დადგენილება №432 – ვებგვერდი, 10.07.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.

მუხლი 7. ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის შევსების წესი და პასუხისმგებლობა მასში ასახული ინფორმაციის სისწორეზე

1. ხეტყის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვამდე და ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსებამდე, ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის მიერ სავალდებულოა მრგვალი ხეტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშით, გარდა 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხეტყისა (მორისა) ან წვრილი თავის ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის მქონე ხეტყისა.
2. საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზიანტს ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელს უფლება აქვს, განახორციელოს მეორე ხარისხის ხიდან მიღებული მერქნული რესურსის სპეციალური ფირნიშით მარკირება.

3. ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსება ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

ა) სავალდებულოა ყველა რეკვიზიტის შევსება და დოკუმენტის ხელმოწერა;

ბ) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყით მოსარგებლის ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მოცულობა ($მ^3$) სახეობის (ჯიშის) მიხედვით, ასევე შესაბამისი სპეციალური ფირნიშის ნომრები აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში მოცემულ ცხრილში. ცხრილის შეუვსებელი რეკვიზიტები გადაიხაზება - Z-ით. ამასთან, ამავე რეკვიზიტში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის, გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა. ხოლო ჯირკის (ფესვებით) ტრანსპორტირების შემთხვევაში, მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში მიეთითება ციფრი - 0.

დ) არამარკირებული ხე-ტყის მოცულობა სახეობის (ჯიშის) მიხედვით, აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-3 რეკვიზიტში, მისი არარსებობისას აღნიშნულ რეკვიზიტში დაისმება – Z.

4. ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის მიერ, ამ მუხლის თანახმად, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხორციელდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის სრულად შევსების შემდეგ.

5. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების შევსებაზე და სისწორეზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიანტს ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 8. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსის, ასევე მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება, დადგენილ შემთხვევებში, მათზე სააგენტოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა

1. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსის, ასევე მუნიციპალიტეტის

ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების, მათ შორის: კაკლის, ბალამწარას, წაბლისა და თუთის სახეობების (გარდა სხვა ხილკენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის სავალდებულოა მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა (ქ. თბილისის შემთხვევაში – ადგილწარმოშობის ცნობა ან წერილობითი დოკუმენტი), რომელიც, ხე-მცენარეებიდან მიღებული მერქნული რესურსის კანონიერად წარმოშობის დადასტურების მიზნით, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების ადგილი (მისამართი, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით) და მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი (ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების შემთხვევაში);

ბ) მიღებული მორების რაოდენობა, თითოეული მორის სახეობა (ჯიში), სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრები (სმ), ქ. თბილისის ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების (მწვანე ნარგავების) შემთხვევაში, უნდა მიეთითოს დაინტერესებული პირის რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი), მისი არსებობის შემთხვევაში;

გ) ხე-მცენარეების (მწვანე ნარგავების) მესაკუთრის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი).

2. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსიდან, ასევე მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხემცენარეებიდან (მწვანე ნარგავებიდან), მათ შორის, კაკლის, ბალამწარას, წაბლისა და თუთის სახეობებიდან (გარდა სხვა ხილკენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა) მიღებული წვრილი თავის ბოლოდან 12 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრისა და არანაკლებ 60 სანტიმეტრზე მეტი სიგრძის მერქნული რესურსის ტრანსპორტირების მიზნით, სავალდებულოა ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება. ამასთან, სახერხ საამქროში შეტანის მიზნისთვის, ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემასა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებას ექვემდებარება ხემცენარეებიდან (მწვანე ნარგავებიდან) (მათ შორის, დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე სხვა ხილკენკროვანი სახეობებიდან) მიღებული 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხეტყე (მორი) და წვრილი თავის ბოლოდან 4 და მეტი სანტიმეტრის დიამეტრის ხემცენარე, გარდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსისა. ამ შემთხვევებში, დაინტერესებული პირი ვალდებულია, დადგენილი წესით, გადაიხადოს სპეციალური ფირნიშებით მარკირებისათვის დადგენილი მომსახურების საფასური და მიმართოს სააგენტოს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველია მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ადგილწარმოშობის ცნობა (ქ. თბილისის შემთხვევაში – ადგილწარმოშობის ცნობა ან წერილობითი დოკუმენტი), რომელიც უნდა მოიცავდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება განაცხადის წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.

4. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი ვალდებულია:

ა) მოითხოვოს წარმოშობის დოკუმენტში დასაფიქსირებელი მონაცემების ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის, მონაცემები სატრანსპორტო საშუალების, გადამზიდავი პირისა და დანიშნულების ადგილის შესახებ);

ბ) შეამოწმოს ხე-მცენარეების დამზადების ადგილი, დამზადებული ხე-მცენარეების ოდენობა და სახეობა;

გ) განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ ხე-მცენარეების დამზადების

ადგილი, სახეობა (ჯიში) და სხვა მონაცემები არ შეესაბამება მათი ადგილწარმოშობის ცნობაში ასახულ მონაცემებს.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებისთვის განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) შესაბამისად.

6. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:

ა) სავალდებულოა ყველა რეკვიზიტის შევსება, გარდა დოკუმენტის მე-3 რეკვიზიტისა, რომელიც გადაიხაზება Z-ით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტრანსპორტირება არ ხორციელდება დოკუმენტის შევსებისთანავე, მე-6, მე-7, მე-8 რეკვიზიტები არ ივსება და გადაიხაზება Z-ით;

ბ) მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მოცულობა ($მ^3$) სახეობის (ჯიშის) მიხედვით, ასევე შესაბამისი სპეციალური ფირნიშის ნომრები აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში მოცემულ ცხრილში. ამასთან, ამავე რეკვიზიტში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის (გარდა მოსარგებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში), გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა. ხოლო ჯირკის (ფესვებით) ტრანსპორტირების შემთხვევაში, მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში მიეთითება ციფრი – 0;

გ) დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება სააგენტოში შესული დაინტერესებული პირის განცხადების, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებისთვის განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) ნომერი, გარდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსისა;

დ) დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

ე) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ხე-ტყის მოსარგებლეს, ხოლო პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს.

7. დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხორციელდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის სრულად შევსების შემდეგ.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-ტყის/ხე-მცენარეების ამ მუხლით განსაზღვრული რეგულირების მიზნით ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ, ამ მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევებში, დაინტერესებული პირი მიმართავს აჭარის სატყეო სააგენტოს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ივნისის დადგენილება №285 – ვებგვერდი, 12.06.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 9. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა

1. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყებამდე სავალდებულოა ხე-

ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა, ასევე სპეციალური ფირნიშებით მარკირება, ამ მუხლით დადგენილი წესით.
2. ხეტყის ტრანსპორტირების დაწყებამდე სავალდებულოა ხეტყის დამზადების შედეგად მიღებული მრგვალი ხეტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშებით, გარდა 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დაკოტრილი და წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მერქნული რესურსისა.

3. სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სადაც მიეთითება მოპოვებული რესურსის მოცულობა სახეობების (ჯიშების) მიხედვით, ასევე მათი განთავსების ადგილი. სააგენტოს მიერ ამ პუნქტით გაწეული მომსახურებისათვის შესაბამისი საფასურის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადახდა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

4. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსის განკარგვის შემდეგ, სააგენტოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება განხორციელდება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი მიმართვის (სადაც მიეთითება მოპოვებული რესურსის მოცულობა სახეობების (ჯიშების) მიხედვით, ასევე მათი განთავსების ადგილი), ხე-ტყის მესაკუთრის განცხადებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ქვითრის) წარდგენის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება, თუ იმავე ხე-ტყეზე, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაცემულია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი.

5. სააგენტოს უფლებამოსილი პირი, ამ მუხლით დადგენილ შემთხვევებში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას ვალდებულია:

ა) შეამოწმოს ხე-ტყის ოდენობის შესაბამისობა შესაბამის დოკუმენტში (წერილობით მიმართვაში ან განცხადებაში) ასახულ მონაცემებთან;

ბ) მოითხოვოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შესაბამის რეკვიზიტებში მისათითებელი ინფორმაცია;

გ) განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ არარსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი ან ხე-ტყის სახეობა (ჯიში) ან/და მოცულობა არ შეესაბამება წერილობით მიმართვაში ან განცხადებაში არსებულ მონაცემებს.

6. დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხორციელდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის სრულად შევსების შემდეგ. ამასთან, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტების შევსება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:

ა.ა) დოკუმენტის პირველ რეკვიზიტში მიეთითება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს სახელწოდება;

ა.ბ) დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძვლები (წერილობითი მიმართვის ნომერი, ხოლო არსებობის შემთხვევაში, ასევე შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ქვითრის) ნომერი);

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:

ბ.ა) დოკუმენტის პირველ რეკვიზიტში მიეთითება ხე-ტყის მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ.ბ) დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძვლები (წერილობითი მიმართვის, განცხადებისა და შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ქვითრის) ნომერი);

ბ.გ) მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მოცულობა ($მ^3$) სახეობის (ჯიშის) მიხედვით, ასევე შესაბამისი სპეციალური ფირნიშის ნომრები აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში მოცემულ ცხრილში. ამასთან, ამავე რეკვიზიტში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის (გარდა მოსარგებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში), გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა, ხოლო ჯირკის (ფესვებით) ტრანსპორტირების შემთხვევაში, მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში მიეთითება ციფრი - 0.

გ) დოკუმენტის შეუვსებელი მე-3 ან მე-4 რეკვიზიტი გადაიხაზება Z-ით. მე-5 რეკვიზიტში მიეთითება დოკუმენტის გაცემის (ხე-ტყის განთავსების) ადგილის მისამართი (თუ ხე-ტყის დამზადების ადგილი უცნობია).

7. ამ მუხლის საფუძველზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას, დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ხე-ტყით მოსარგებლეს, ხოლო პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემ უფლებამოსილ პირს.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ხე-ტყის რეგულირების მიზნით, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ, ამ მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევებში დაინტერესებული პირი მიმართავს აჭარის სატყეო სააგენტოს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 10. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე), ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შეწყვეტილი აქვს სახელმწიფო ტყის სტატუსი (მათ შორის, სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირების შედეგად, სახელმწიფო ტყის საზღვრებს გარეთ დარჩენილ ტერიტორიაზე) განხორციელებული ჭრების, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული ჭრებისა და საქართველოს ტყის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული მართვის ორგანოს მიერ განხორციელებული ჭრების შედეგად მოპოვებულ ხე-ტყესა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) ტყის მართვის ორგანოს მიერ მოპოვებულ ძირნაყარ მერქნულ რესურსზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა

1. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე), ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შეწყვეტილი აქვს სახელმწიფო ტყის სტატუსი (მათ შორის, სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირების შედეგად სახელმწიფო ტყის საზღვრების გარეთ დარჩენილ ტერიტორიაზე), განხორციელებული ჭრების, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული ჭრებისა და საქართველოს ტყის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული ტყის მართვის ორგანოს მიერ განხორციელებული ჭრების შედეგად მოპოვებულ ხე-ტყესა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) ტყის მართვის ორგანოს მიერ მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსის ტრანსპორტირების დაწყებამდე სავალდებულოა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება ამ მუხლით დადგენილი წესით.
2. ხეტყის ტრანსპორტირების დაწყებამდე სავალდებულოა ხეტყის დამზადების შედეგად მიღებული მრგვალი ხეტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშებით, გარდა 60 სანტიმეტრამდე სიგრძის

დაკოტრილი და წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსისა.

2[1]. აკაციის სახეობის მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშით მარკირებას ექვემდებარება წვრილი თავის ბოლოდან 20 სანტიმეტრისა და მეტი დიამეტრის მქონე აკაციის სახეობის მერქნული რესურსი.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში ჭრების განხორციელებისას მოპოვებულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში ჭრების განმახორციელებელი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სადაც მიეთითება მოპოვებული რესურსის მოცულობა (სახეობების) ჯიშების მიხედვით, ხე-ტყის განთავსების ადგილი.

4. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე), ასევე იმ ფართობზე, რომელსაც შეწყვეტილი აქვს სახელმწიფო ტყის სტატუსი (მათ შორის, სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირების შედეგად სახელმწიფო ტყის საზღვრების გარეთ დარჩენილ ტერიტორიაზე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ჭრების განხორციელებისას მოპოვებულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება განხორციელდება ჭრების განმახორციელებელი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სადაც უნდა მიეთითოს მოპოვებული რესურსის მოცულობა, სახეობების (ჯიშების) მიხედვით, ასევე მათი განთავსების ადგილი.

5. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე), ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შეწყვეტილი აქვს სახელმწიფო ტყის სტატუსი (მათ შორის, სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირების შედეგად სახელმწიფო ტყის საზღვრების გარეთ დარჩენილ ტერიტორიაზე) განხორციელებული ჭრებისა და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში ჭრების შედეგად მოპოვებულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირების მიზნით, დაინტერესებული პირი მიმართავს სააგენტოს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, მიმართავს აჭარის სატყეო სააგენტოს.

6. საქართველოს ტყის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული ტყის მართვის ორგანოს მიერ განხორციელებული ჭრების შედეგად მოპოვებულ ხე-ტყესა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) ტყის მართვის ორგანოს მიერ მოპოვებულ ძირნაყარ მერქნულ რესურსზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება განხორციელდება დადგენილი წესით, ჭრების განხორციელების ან ძირნაყარი მერქნული რესურსის გამოტანის შესახებ საქართველოს ტყის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ტყის მართვის ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

6[1]. სააგენტოს მიერ ხე-ტყის/ხე-მცენარის გაცემამდე მისი დახარისხების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, ახალი წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშით მარკირება ხორციელდება მერქნული რესურსის დახარისხების აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა აიტვირთოს მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში დახარისხების დღიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა. ასეთ შემთხვევაში, ახალი წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ან/და სპეციალური ფირნიშით მარკირება ხორციელდება ზოგადი წესების დაცვით.

7. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილ შემთხვევებში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას, სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) შეამოწმოს ხე-ტყის ოდენობის შესაბამისობა სათანადო დოკუმენტში (წერილობით მიმართვაში ან

მოთხოვნაში) ასახულ მონაცემებთან;

ბ) მოითხოვოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შესაბამის რეკვიზიტებში მისათითებელი ინფორმაცია;

გ) განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე:

გ.ა) თუ არ არსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი ან ხე-ტყის სახეობა (ჯიში) ან/და მოცულობა არ შეესაბამება წერილობით მიმართვაში ან განცხადებაში არსებულ მონაცემებს;

გ.ბ) ხე-ტყის დამზადების ადგილი არ არის გასუფთავებული ხე-ტყის დამზადების ნარჩენებისაგან (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

8. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხორციელდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის სრულად შევსების შემდეგ. ამასთან, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტების შევსება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) დოკუმენტის პირველ რეკვიზიტში მიეთითება სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამისი ორგანოს სახელწოდება;

ბ) ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძვლები (წერილობითი მიმართვის ნომერი), ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას – ჭრების განხორციელების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება;

გ) დოკუმენტის შეუვსებელი მე-3 ან მე-4 რეკვიზიტი გადაიხაზება Z-ით;

დ) მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მოცულობა ($მ^3$) სახეობის (ჯიშის) მიხედვით, ასევე შესაბამისი სპეციალური ფირნიშის ნომრები აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში მოცემულ ცხრილში. ამასთან, ამავე რეკვიზიტში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის (გარდა მოსარგებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში), გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა, ხოლო ჯირკის (ფესვებით) ტრანსპორტირების შემთხვევაში, მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში მიეთითება ციფრი – 0;

ე) დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ხე-ტყის გადამზიდავ პირს, ხოლო პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემ უფლებამოსილ პირს.

8^1. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხორციელდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის სრულად შევსების შემდეგ (გარდა ამ პუნქტში მითითებული გამონაკლისისა). ამასთან, ბოძზე, სარსა და ჭიგოზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტების შევსება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) დოკუმენტის პირველ რეკვიზიტში მიეთითება სახელმწიფო ტყის მართვის შესაბამისი ორგანოს სახელწოდება;

ბ) ივსება მხოლოდ მე-3 რეკვიზიტი, რომლის პირველ გრაფაში,
ხე-ტყის ჯიშთან ერთად, უნდა მიეთითოს „ბოძი, სარი ან ჭიგო“ – საჭიროების მიხედვით, ხოლო დოკუმენტის შეუვსებელი მე-4 რეკვიზიტი გადაიხაზება Z-ით;

გ) დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ბოძის, სარისა და ჭიგოს გადამზიდავ პირს, ხოლო პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემ უფლებამოსილ პირს;

დ) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს.

9. (ამოღებულია - 27.10.2017, №473).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ივნისის დადგენილება №285 – ვებგვერდი, 12.06.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №473 – ვებგვერდი, 30.10.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 10[1]. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტყის მართვის ორგანოსთვის რეალიზაციის მიზნით გადაცემული მერქნული რესურსისთვის წარმოშობის დოკუმენტის გაწერის განსაკუთრებული პირობები

სახელმწიფო ტყის საზღვრებში, დაცული ტერიტორიის საზღვრებში, სახელმწიფო საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე (გარდა მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიისა) უკანონოდ (უკანონოდ გაჩეხვით ან სხვაგვარად) მოპოვებული, დროებით ჩამორთმეულ ან აღმოჩენილ მერქნიან მცენარეზე ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხორციელდება ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის სრულად შევსების შემდეგ (გარდა ამ პუნქტში მითითებული გამონაკლისისა). შევსება ხდება შემდეგი წესით:

ა) დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში იწერება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლი, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ან/და საველე აქტი/მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) დოკუმენტის მე-5 რეკვიზიტში იწერება აღმოჩენის ადგილი, თუ ცნობილია ნაკვეთის ზუსტი მდებარეობა (სატყეო, სატყეო უბანი, კვარტალი, ლიტერი);

გ) დოკუმენტის მე-7 რეკვიზიტში იწერება დასაწყობების ადგილი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 11. საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული ხე-ტყის მოძრაობის რეგულირება

1. ხე-ტყის იმპორტიორი ვალდებულია, იმპორტირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხ საამქროში შეტანამდე უზრუნველყოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მიღება და სპეციალური ფირნიშებით მარკირება, ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. იმპორტიორი ვალდებულია, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მიღებისთვის მიმართოს სააგენტოს და წარუდგინოს იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია ხე-ტყის შემოტანის თარიღის, შემოტანილი რესურსის მოცულობის ($მ^3$), დასამარკირებელი მერქნული რესურსის რაოდენობის სახეობების (ჯიშის) მიხედვით და მათი პირველადი დასაწყობების ადგილის შესახებ.

2. ხე-ტყის იმპორტიორი ვალდებულია, სააგენტოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებისთვის წარუდგინოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი).

3. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშებით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველია იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.

5. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი, ამ მუხლის პირველ პუნქტში ასახული ინფორმაციის გათვალისწინებით, ვალდებულია:

ა) შეამოწმოს იმპორტირებული ხე-ტყის ოდენობის შესაბამისობა იმპორტის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში ასახულ მონაცემებთან;

ბ) მოითხოვოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შესაბამის რეკვიზიტებში მისათითებელი ინფორმაცია;

ბ[1]) მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მოცულობა ($მ^3$) სახეობის (ჯიშის) მიხედვით, ასევე შესაბამისი სპეციალური ფირნიშის ნომრები ასახოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში მოცემულ ცხრილში. ცხრილის შეუვსებელი რეკვიზიტები გადაიხაზება - Z-ით. ამასთან, ამავე რეკვიზიტში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის (გარდა მოსარგებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში), გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა, ხოლო ჯირკის (ფესვებით) ტრანსპორტირების შემთხვევაში, მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში მიეთითება ციფრი - 0;

გ) განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ:

გ.ა) არარსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი;

გ.ბ) იმპორტირებული ხე-ტყის სახეობა (ჯიში) არ შეესაბამება ან/და ოდენობა აღემატება იმპორტის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში გათვალისწინებულ მონაცემებს;

გ.გ) არ არის წარდგენილი შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი);

დ) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ხე-ტყის იმპორტიორს, ხოლო პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს.

6. თუ გამოვლინდება, რომ იმპორტირებული ხე-ტყის სახეობა (ჯიში) არ შეესაბამება იმპორტის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში გათვალისწინებულ მონაცემებს, მასალები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს შემდგომი რეაგირების მიზნით.

7. თუ იმპორტიორის მიერ დარღვეულია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის აღებისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, იმპორტიორზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტების ფარგლებში, განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, იმპორტირებული ხე-ტყის რეგულირების მიზნით, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ, ამ მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი მიმართავს აჭარის სატყეო სააგენტოს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.

მუხლი 12. სპეციალური ფირნიშების მოქმედებისა და მისი გაუქმების საფუძვლები

1. დაუშვებელია სპეციალური ფირნიშის ხელმეორედ გამოყენება (მათ შორის, მორების ტრანსპორტირებისას მომმვრალი სპეციალური ფირნიშის იმავე ან სხვა მორზე ხელმეორედ მიმაგრება მისი გახვრეტის, მიწებების ან სხვა გზით), აგრეთვე დაზიანებული სპეციალური ფირნიშის გამოყენება.
2. სპეციალური ფირნიშის მოქმედება წყდება:

ა) სპეციალური ფირნიშით მარკირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხ საამქროში გადამუშავებისთანავე;

ბ) თუ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირების შემდგომ, სახერხ საამქროში ხე-ტყის გადამუშავებამდე დარღვეულია მისი მთლიანობა;

გ) საკონტროლო ფირნიშის არარსებობისას;

დ) სააგენტოს მიერ მერქნული რესურსის დახარისხების შედეგად მრგვალი ხე-ტყის/ხე-მცენარის საშეშე მერქნად გადახარისხების შემთხვევაში, რომლისთვისაც სპეციალური ფირნიშით მარკირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის გათვალისწინებული, ან/და მრგვალი ხე-ტყისაგან/ხე-მცენარისაგან სხვადასხვა ხარისხის მრგვალი ხე-ტყის/ხე-მცენარის მიღების გამო ახალი ფირნიშებით მარკირების

საჭიროების შემთხვევაში.

2^1. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, მერქნული რესურსის დახარისხების შედეგად ახალი წარმოშობის დოკუმენტის გაცემის ან/და სპეციალური ფირნიშით მარკირების შემთხვევაში, წარმოშობის დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში უნდა მიეთითოს დახარისხების აქტის რეკვიზიტები (თარიღი, ნომერი), ასევე იმ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნომერი, რომელშიც ასახული იყო აღნიშნული ხე-ტყე/ხე-მცენარე, ასევე გაუქმებული ფირნიშის ნომერი. გაუქმებული ფირნიშის ნომრების მითითება შესაძლებელია დიაპაზონების მითითებითაც.

3. ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყების შემდეგ მარკირებული ხე-ტყის სპეციალური ფირნიშის დაზიანებისას ან დაკარგვისას, ხე-ტყით მოსარგებლე ან ხე-ტყის მფლობელი ვალდებულია, შეწყვიტოს ხე-ტყის შემდგომი ტრანსპორტირება და აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს დეპარტამენტს ცხელ ხაზზე (153) სატელეფონო შეტყობინების, ან ელექტრონული ფოსტის – help@des.gov.ge, ან წერილობითი განცხადების მეშვეობით. შეტყობინება/განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) მრგვალი ხე-ტყის (მორის) ოდენობისა და განთავსების ადგილის შესახებ;

ბ) დაზიანებული ან დაკარგული სპეციალური ფირნიშის მონაცემების თაობაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ დადგინდება დაკარგული ან დაზიანებული ფირნიშის შესაბამისი მრგვალი ხე-ტყის (მორის) და ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ ან ამ რეგლამენტით დადგენილ ვადებში ატვირთამდე მატერიალური სახით წარდგენილ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში ასახული მონაცემების შესაბამისობა, რაც აისახება შესაბამის აქტში შესაბამისი დასაბუთებით, ხე-ტყით მოსარგებლეს ან ხე-ტყის მფლობელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

5. ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყების შემდეგ, ხე-ტყით მოსარგებლის ან ხე-ტყის მფლობელის მიერ, მარკირებული ხე-ტყის სპეციალური ფირნიშის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, თუ ვინ გამოავლინა ფაქტი), დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარების (მათ შორის, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი დადგენილების გამოტანის) შემდეგ, ან შესაბამისი დოკუმენტის (აქტის) გაცემის შემდეგ, შესაბამისი ხე-ტყის მარკირებისა და ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება გააჩნია შესაბამის მართვის ორგანოს (სააგენტოს, აჭარის სატყეო სააგენტოს აჭარის ა/რ ტერიტორიაზე), დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე და ხე-ტყით მოსარგებლის ან ხე-ტყის მფლობელის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტის (ქვითარს) წარდგენის შემდგომ, არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გაიცემა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან დასაბუთებული უარი ეცნობება განმცხადებელს. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) მოითხოვოს შესაბამისი დაზიანებული სპეციალური ფირნიში, თუ იგი არ არის წარდგენილი;

ბ) შეამოწმოს მრგვალი ხე-ტყის (მორის) და დაზიანებული ან დაკარგული სპეციალური ფირნიშის შესაბამისობა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტსა და შესაბამის მრგვალ ხე-ტყეზე (მორზე) არსებულ მონაცემებთან და მხოლოდ მათი თანხვედრის შემთხვევაში გასცეს ახალი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

გ) ხე-ტყის წარმოშობის ახალი დოკუმენტი შეავსოს ზოგადი წესების შესაბამისად;

დ) დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიუთითოს დეპარტამენტის შესაბამისი დოკუმენტის რეკვიზიტები, ასევე იმ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნომერი, რომელშიც ასახული იყო აღნიშნული მორი ფირნიშის დაზიანებამდე ან დაკარგვამდე, ასევე დაზიანებული/დაკარგული ფირნიშის ნომერი;

ე) მე-7 რეკვიზიტში მიუთითოს მრგვალი ხე-ტყის (მორის) განთავსების ადგილი, ხოლო

ტრანსპორტირების შემთხვევაში – დანიშნულების ადგილი;

ვ) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი გადასცეს ხე-ტყის მოსარგებლეს ან ხე-ტყის მფლობელს, ხოლო პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემ უფლებამოსილ პირს.

7. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას სავალდებულოა თითოეული შესაბამისი მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №473 – ვებგვერდი, 30.10.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის დადგენილება №347 – ვებგვერდი, 04.07.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.

მუხლი 13. ხე-ტყის ტრანსპორტირების სავალდებულო მოთხოვნები, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მოქმედების ვადა

1. ხე-ტყის შესაბამისი დატვირთვის ან დამზადების ადგილიდან ხე-ტყის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას თითოეული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით გათვალისწინებული ხე-ტყე არ უნდა განთავსდეს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.
2. იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის დატვირთვის ან დამზადების ადგილიდან ხე-ტყის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას არსებობს ხე-ტყის ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვის საჭიროება, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-6 რეკვიზიტში სავალდებულოა ორივე სატრანსპორტო საშუალების რეკვიზიტების მითითება. ხე-ტყით მოსარგებლე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს წარუდგინოს იმ სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ასლი (დადასტურებული ტყითმოსარგებლის ან მის მიერ უფლებამოსილი პირისა და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემის ხელმოწერითა და მიმდინარე თარიღის მითითებით), რომელიც უზრუნველყოფს დანიშნულების ადგილამდე ხე-ტყის ტრანსპორტირებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-8 რეკვიზიტში მიეთითება ხე-ტყის გადამზიდავი პირის რეკვიზიტები, რომელიც განახორციელებს ხე-ტყის ტრანსპორტირებას ხე-ტყის მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვის ადგილამდე.

4. სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყით მოსარგებლე ან ხე-ტყის გადამზიდავი პირი ვალდებულია, ხე-ტყის ტრანსპორტირებისას თან იქონიოს ხე-ტყის წარმოშობის შესაბამისი დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი. სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული არამარკირებული ხე-ტყის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი გაცემიდან (შევსებიდან) არაუმეტეს 12 საათისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ხე-ტყით მოსარგებლის მიერ არამარკირებული ხე-ტყის შემდგომი ტრანსპორტირება დაუშვებელია.

5. ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი ვალდებულია, თან იქონიოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ხე-ტყის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას.

6. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსის, ასევე მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეებიდან მიღებული და მარკირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირებისას, ხე-ტყით მოსარგებლე ვალდებულია, თან იქონიოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, ხოლო მწვანე ნარგავების ან ხე-მცენარეებიდან მიღებული არამარკირებული ხე-ტყის ტრანსპორტირებისას, სავალდებულოა ამ რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა (ქ. თბილისის შემთხვევაში – ადგილწარმოშობის ცნობა ან წერილობითი დოკუმენტი).

7. (ამოღებულია - 24.03.2017, №152).

8. ხე-ტყე, რომელსაც ამ მუხლის მე-4 – მე-7 პუნქტებით დადგენილ შემთხვევებში, არ ახლავს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების შესაბამისი ადგილწარმოშობის ცნობა (ქ. თბილისის შემთხვევაში – ცნობა ან წერილობითი დოკუმენტი), ან/და მრგვალი ხე-ტყის (მორის) შემთხვევაში, დადგენილი წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშებით, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყედ ჩაითვლება ხე-ტყე, რომელსაც ამ რეგლამენტის შესაბამისად არ აქვს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან დადგენილი წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით.

10. გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული ხე-ტყისა, ასევე უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყედ ჩაითვლება ხე-ტყე, რომელსაც არ აქვს სათანადო დოკუმენტი, კერძოდ, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე), სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე), ასევე მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა (ქ. თბილისის შემთხვევაში – ადგილწარმოშობის ცნობა ან წერილობითი დოკუმენტი), იმპორტირებული ხე-ტყის შემთხვევაში – ხე-ტყის იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ხე-ტყის გასხვისების შემთხვევაში – სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია, ან დადგენილი წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ივნისის დადგენილება №285 – ვებგვერდი, 12.06.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.

თავი III
მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს)ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 14. ზოგადი მოთხოვნები

1. სახერხი საამქრო, მიუხედავად იმისა, ახორციელებს თუ არა მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველად გადამუშავებას, უნდა აკმაყოფილებდეს ამ თავით დადგენილ მოთხოვნებს.
2. აკრძალულია სახერხი დანადგარის განთავსება/მონტაჟი და ხე-ტყის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება:

ა) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე;

გ) დაცულ ტერიტორიაზე (გარდა დაცული ლანდშაფტის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და ბიოსფერული რეზერვატისა);

დ) დაცული ტერიტორიების (გარდა დაცული ლანდშაფტის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და ბიოსფერული რეზერვატისა) გარშემო 500-მეტრიან ზონაში;

ე) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან 100 მეტრის რადიუსში;

ვ) საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობებიდან, ასევე პარკებიდან, სკვერებიდან ან ბაღებიდან 50 მეტრის რადიუსში;

ზ) მიწისქვეშა წყლის სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის (15-მეტრიანი რადიუსი) ზონაში;

თ) მდინარის კალაპოტის, ხევის ან მაგისტრალური სარწყავი არხის კიდიდან ორივე მხარეს – 50 მეტრის ფარგლებში, ხოლო მაღალმთიან რეგიონებსა და ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – 20 მეტრის ფარგლებში;

ი) ტბებისა და წყალსაცავების წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში;

კ) შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფარგლებში.

3. (ამოღებულია - 25.02.2021, №75).

4. სახერხ საამქროში დასაქმებული პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს მტვრის საწინააღმდეგო სარქვლიანი რესპირატორებით, პერსონალური ხმაურდამცავი საშუალებებით.

5. სავალდებულოა სახერხი საამქროს სახერხი დანადგარის, მრგვალი ხე-ტყისა (მორის) და მისი გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ტერიტორიის შემოღობვა არანაკლებ 1,5 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის, ბეტონის, ხის ან სხვა მყარი კონსტრუქციით.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ობიექტებიდან მანძილი გამოიანგარიშება უახლოესი წერტილიდან სახერხი საამქროს სახერხი დანადგარისა და ნარჩენების განთავსების ადგილის უახლოეს წერტილამდე.

7. სახერხი საამქრო აღჭურვილი უნდა იყოს ვიდეომონიტორინგის სისტემით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 დანართით დადგენილ სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნებს.

8. აკრძალულია ხე-ტყის ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის განთავსება სახერხი საამქროს შემოღობილი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (დატვირთვისა და ჩამოცლის პროცესის მიმდინარეობის გარდა).

9. სახერხი საამქროს საქმიანობის განსახორციელებლად სავალდებულოა, სახერხი დანადგარის მთლიანი ან მისი ნაწილი უძრავად იყოს დამაგრებული საქმიანობის ადგილზე.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის დადგენილება №347 – ვებგვერდი, 04.07.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №374 - ვებგვერდი, 07.08.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.

მუხლი 15. სახერხ საამქროში დაბინძურების თავიდან აცილების მოთხოვნები

1. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ქიმიური დამუშავების მიზნით, სახერხი საამქროების ტერიტორიაზე გამოყოფილი სპეციალური მოედნები და ქიმიურ საშუალებათა შესანახი ადგილები ქიმიური საშუალებების ნიადაგსა და გრუნტის წყლებში გაჟონვის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად უნდა აღიჭურვოს:
ა) მყარი მონოლითური (წყალგაუმტარი) დამცავი საფარით;

ბ) გამწმენდი სისტემით.

2. ქიმიურ საშუალებათა შესანახი ადგილები უნდა იყოს დაცული და მიუწვდომელი უცხო პირთათვის.

3. სახერხი საამქროს მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულოა მრგვალი ხეტყის (მორის) გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შენახვა სახერხი საამქროს ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილას – ბუნკერში, ხოლო ნაგვერდულების, ასევე ფანერის (შპონის) წარმოების მიზნით წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული 30 სანტიმეტრიდან 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დარჩენილი კოტრების (მორის ჩამონაჭრების) განთავსება – სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

4. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გაიტანოს ნარჩენები ბუნკერის გადავსებამდე.

5. იმ შემთხვევაში, თუ სახერხი საამქროს ტერიტორია შემოღობილია რკინა-ბეტონის ან ბეტონის არანაკლებ 2,5 მეტრისა და მეტი სიმაღლის მყარი კონსტრუქციით, სახერხი საამქროს მფლობელი უფლებამოსილია გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შენახვა განახორციელოს ბუნკერის გარეშე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული ქარის მიერ ნარჩენების შემოღობილი ტერიტორიის გარეთ გადატანა, ამასთან, გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი და დასაწყობებული ნარჩენების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ღობის კონსტრუქციის სიმაღლეს.

6. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, ნარჩენების მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 16. სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნები

1. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის) ან/და მოწყობილობის მონტაჟის დაწყებამდე დაარეგისტრიროს სახერხი საამქრო ელექტრონულ სისტემაში, ვებპორტალზე (https://emoe.gov.ge).
2. სახერხი საამქროს მფლობელი, სახერხი საამქროს დარეგისტრირების მიზნით, უფლებამოსილია, მიმართოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს სახერხი საამქროს ადგილმდებარეობის მიხედვით.

3. სახერხი საამქრო ექვემდებარება დარეგისტრირებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც:

ა) დეპარტამენტი დაადგენს, რომ სახერხი საამქროს მიერ რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) დეპარტამენტი დაადასტურებს, რომ სახერხი საამქრო ადგილზე გადამოწმების შემდგომ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შემდგომ დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას სახერხი საამქროს ელექტრონულ სისტემაში სახერხი საამქროს რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. რეგისტრაციაზე თანხმობა გამოიხატება იმაში, რომ სახერხ საამქროს ელექტრონულად ენიჭება რეგისტრაციის უნიკალური ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და სტატუსი – „მოქმედი“.

5. გადაწყვეტილებას, სახერხი საამქროს რეგისტრაციის თაობაზე, დეპარტამენტი იღებს შესაბამისი განაცხადის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

6. ელექტრონულ სისტემაში დაურეგისტრირებელ სახერხ საამქროს ეკრძალება მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება და გადამუშავება.

7. სახერხი საამქროს რეგისტრაციისათვის სავალდებულო მონაცემებია/დოკუმენტებია:

ა) სახერხი საამქროს მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) სახერხი საამქროს ადგილმდებარეობა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სახერხი საამქროს ფუნქციონირებისათვის დაკავებული მიწის ფართობის დაზუსტებული აზომვითი ნახაზი UTM კოორდინატთა სისტემაში, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს აზომვითი ნახაზის შემსრულებელი პირის მიერ, ასევე დაზუსტებული აზომვითი ნახაზის Shp-ფაილის ელექტრონული ვერსია UTM კოორდინატთა სისტემაში);

გ) სახერხი საამქროს ფუნქციონირებისათვის დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის/ფართის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სახერხი დანადგარის სიმძლავრე, რაოდენობა, თერმული დამუშავების, ფანერის (შპონის) წარმოების დანადგარის (მისი არსებობის შემთხვევაში) მონაცემები;

ე) სახერხი საამქროს, როგორც ელექტროენერგიის მომხმარებლის, სააბონენტო ნომერი;

ვ) საიდენტიფიკაციო მონაცემები ხელმძღვანელის ან/და მისი უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ,

რომელიც ახორციელებს დადგენილი წესით საკონტროლო ფირნიშების დეპარტამენტში წარდგენას.

8. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, მიმართოს დეპარტამენტს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების მოთხოვნით:

ა) მეწარმე სუბიექტის სამართლებრივი ფორმის ცვლილების შემთხვევაში;

ბ) სახერხი საამქროს მფლობელის შეცვლის შემთხვევაში.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს განცხადებით მიმართავენ სახერხი საამქროს ყოფილი და ახალი მფლობელები.

10. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დეპარტამენტს შესაბამისი ცვლილების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის დადგენილება №347 – ვებგვერდი, 04.07.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.

მუხლი 17. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების, გადამუშავებისა და სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის გატანის ზოგადი მოთხოვნები

1. სახერხ საამქროში გადასამუშავებლად მიიღება მხოლოდ სპეციალური ფირნიშებით მარკირებული მრგვალი ხე-ტყე (მორი).
2. სახერხ საამქროში სათბობად გამოყენების მიზნით, საშეშე მერქანი სავალდებულოა შეტანილ იქნეს დაჩეხილ-დაპობილი სახით.

3. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, განახორციელოს მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის მიღების, წინასწარი დამუშავების (ფანერის (შპონის) წარმოების შემთხვევაში), გადამუშავების, გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის აღრიცხვის, მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის ან/და პირველადი გადამუშავების პროდუქტის, ასევე გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახერხი საამქროდან გატანის პროცესების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც განთავსებულია ვებპორტალზე – https://emoe.gov.ge.

4. სახერხი საამქროს მფლობელი პასუხისმგებელია ელექტრონული ჟურნალის წარმოებასა და მასში შეტანილი მონაცემების სისწორეზე.

5. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება ხორციელდება ელექტრონულ ჟურნალში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების რეგისტრაციისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) შესაბამისი მონაცემების დეპარტამენტისთვის წარდგენის საფუძველზე ორ ეტაპად:

ა) მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების ელექტრონული რეგისტრაცია სავალდებულოა, განხორციელდეს მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი საამქროს ტერიტორიაზე ჩამოტვირთვის დასრულებამდე. აღნიშნულ შემთხვევაში, ელექტრონულ ჟურნალში აისახება შემდეგი მონაცემები: მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების თარიღი და დრო; მრგვალი ხე-ტყის (მორის) მფლობელის, შემომტანი პირისა და სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემები; მიღებული მორების რაოდენობა. აღნიშნული მონაცემების შეტანისა და შენახვის შემდგომ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების რეგისტრაცია ითვლება დასრულებულად, ენიჭება მიღების უნიკალური ნომერი და თარიღი. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სააგენტოს მიერ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში სპეციალური სარგებლობის ჭრით დასამზადებელი მერქნული რესურსის ელექტრონული აუქციონის გარეშე, პირდაპირი წესით განკარგვის (გაცემის) შემთხვევაში, მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირებისას, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში დანიშნულების ადგილად მითითებულია სახერხი საამქრო, ელექტრონულ ჟურნალში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემების ნაცვლად მიეთითება იმ პირის მონაცემები, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი მრგვალი ხე-ტყე (მორი);

ბ) მრგვალი ხე-ტყის (მორის) შესაბამისი მონაცემების დეპარტამენტისთვის ელექტრონულად წარდგენა სავალდებულოა განხორციელდეს მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში. აღნიშნულ შემთხვევაში, ელექტრონულ ჟურნალში აღირიცხება მიღებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) მონაცემები – წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრები (სმ), სიგრძე (მ), სახეობა (ჯიში), სპეციალური ფირნიშის ნომერი. მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა იანგარიშება ავტომატურად. აღნიშნული მონაცემების სრულად აღრიცხვისა და შენახვის შემდგომ, მონაცემების დეპარტამენტისთვის წარდგენისთანავე, ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხული მორების მონაცემების სისწორე გადამოწმება ელექტრონულ სისტემაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღრიცხვისას, თუ ელექტრონულ სისტემაში ასახულ მონაცემებსა და ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხულ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მონაცემებს შორის, ასევე ელექტრონულ ჟურნალში მიღებული და აღრიცხული მორების რაოდენობაში დაფიქსირდება შეუსაბამობა, დაუშვებელია აღნიშნული მრგვალი ხე-ტყის (მორის) როგორც გადამუშავება, ისე სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

7. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხ დანადგარზე განთავსებისთანავე ან თერმული დამუშავების დაწყებამდე, სავალდებულოა ხე-ტყის (მორის) სპეციალური ფირნიშიდან საკონტროლო ფირნიშის ამოღება და ელექტრონულ ჟურნალში მიმდინარე დღის 24:00 საათამდე მისი გადამუშავების დაფიქსირება. ამასთან, ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებამდე, სავალდებულოა მიმდინარე დღის განმავლობაში გადამუშავებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკონტროლო ფირნიშები ინახებოდეს გადამუშავების ადგილზე და მოთხოვნისთანავე წარედგინოს დეპარტამენტის უფლებამოსილ პირს.

7[1]. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავებისას სავალდებულოა გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტიპისა და მოცულობის შესახებ მონაცემების ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირება გადამუშავების დაწყების დღის 24:00 საათამდე, ხოლო პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახით ფანერის (შპონის) მიღების შემთხვევაში – მისი მიღების დღის 24:00 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება მისი გადამუშავების დაწყების დღის 24:00 საათამდე, ხოლო პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახით ფანერის (შპონის) მიღების შემთხვევაში – მისი მიღების დღის 24:00 საათამდე – მონაცემების ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირება სავალდებულოა მათი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანამდე.

7[2]. პირველადი გადამუშავების პროდუქტის ზომის ერთეულად გამოიყენება – „მ[3]“, ხოლო ფანერის (შპონის) აღრიცხვისას ზომის ერთეულად ასევე უნდა მიეთითოს – „მ[2]“.

7[3]. პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანამდე სავალდებულოა, ელექტრონულ ჟურნალში განხორციელდეს პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაცია, რომლის შედეგად გენერირდება ელექტრონული „ცნობა მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ“ (შემდგომში – ელექტრონული ცნობა) (დანართი №14). ამასთან, ცნობის რეკვიზიტებში გამოვლენილი შეცდომის, ასევე პროდუქტის გატანის გაუქმების ან/და გადავადების შემთხვევაში, ელექტრონული ჟურნალის მწარმოებელი პირი უფლებამოსილია, გააუქმოს ელექტრონული ცნობა მისი გენერირებიდან 15 წუთის განმავლობაში.

7[4]. ელექტრონული ცნობის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახერხი საამქროს მფლობელს, გარდა „დანიშნულების ადგილში“ მისათითებელი ინფორმაციისა, რომლის შევსებაც ხორციელდება ხე-ტყის მფლობელის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

7[5]. დაუშვებელია პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა ელექტრონულ სისტემაში პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაციისა და ელექტრონული ცნობის გენერირების გარეშე.

7[6]. მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაციის (ელექტრონული ცნობის გენერაციის) დასრულებისთანავე, აღნიშნული პირველადი გადამუშავების

პროდუქტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან.

7[7]. სავალდებულოა გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანის ან სახერხი საამქროს ტერიტორიაზე მისი გამოყენებისას ელექტრონულ ჟურნალში რეგისტრაცია. გატანილი/გამოყენებული ნარჩენის მოცულობის აღრიცხვისას გამოვლენილი უზუსტობის შემთხვევაში, სახერხი საამქროს მფლობელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

7[8]. ფანერის (შპონის) წარმოების მიზნით მრგვალი ხეტყის (მორის) წინასწარ დამუშავებისას სავალდებულოა, ხეტყის (მორის) სპეციალური ფირნიშიდან საკონტროლო ფირნიშის ამოღებისთანავე განხორციელდეს წინასწარი დამუშავების დაწყების რეგისტრაცია ელექტრონულ ჟურნალში. აღნიშნულ შემთხვევაში ელექტრონულ ჟურნალში აისახება მრგვალი ხეტყის (მორის) წინასწარი დამუშავების შედეგად მისაღები მორების რაოდენობა. ასევე სავალდებულოა, წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული მორის (მორების) ერთ-ერთ გადანაჭრელზე საღებავით დაუყოვნებლივ გაკეთდეს წარწერა, შემდეგი ფორმატით – წინასწარ დასამუშავებელი მორის შესაბამისი ფირნიშის ნომერი, წილადის აღმნიშვნელი ნიშანი და დამუშავების შედეგად მიღებული მორის რიგითი ნომერი (მაგალითად, 0000056615/1 და ა. შ.) – და მიმდინარე დღის 24:00 საათამდე ელექტრონულ ჟურნალში ასახოს მისი მონაცემები: წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრები (სმ), სიგრძე (მ), ასევე წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული 30 სანტიმეტრიდან 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დარჩენილი კოტრების (მორის ჩამონაჭრების) რაოდენობა. აღნიშნული მონაცემების შეტანისა და შენახვის შემდგომ მრგვალი ხეტყის (მორის) წინასწარი დამუშავების რეგისტრაცია ითვლება დასრულებულად. ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებამდე, სავალდებულოა, მიმდინარე დღის განმავლობაში წინასწარ დამუშავებული მორებიდან მრგვალი ხეტყის (მორის) საკონტროლო ფირნიშები ინახებოდეს გადამუშავების ადგილზე და მოთხოვნისთანავე წარედგინოს დეპარტამენტის უფლებამოსილ პირს.

7[9]. აკრძალულია წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული მორის სახერხი საამქროდან გატანა.

7[10]. წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული 30 სანტიმეტრიდან 60 სანტიმეტრამდე სიგრძის დარჩენილი კოტრების (მორის ჩამონაჭრების) სახერხი საამქროდან გატანა დასაშვებია მხოლოდ მათი დაპობის/დაჩეხვის შემდგომ.

8. სახერხი საამქროს ტერიტორიიდან მრგვალი ხე-ტყის (მორის) გატანამდე სავალდებულოა ელექტრონულ ჟურნალში განხორციელდეს მორის გატანის რეგისტრაცია. გატანის რეგისტრაციის განხორციელებისთანავე, აღნიშნული მრგვალი ხე-ტყე (მორი) დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან.

9. სახერხ საამქროში შეტანილი მრგვალი ხე-ტყის (მორის) სპეციალური ფირნიშის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, სახერხი საამქრო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დეპარტამენტს, ან მის ტერიტორიულ ორგანოს. ამასთან, აკრძალულია ამგვარი მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავება ან გატანა, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, სპეციალური ფირნიშის შეცვლამდე.

10. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს საკონტროლო ფირნიშის შენახვა დეპარტამენტისათვის ან მისი ტერიტორიული ორგანოსთვის დადგენილი წესით გადაცემამდე. საკონტროლო ფირნიში, მოთხოვნის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გონივრულ ვადაში უნდა წარედგინოს დეპარტამენტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილ პირს. მისი დაზიანება ან დაკარგვა სახერხი საამქროს მფლობელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

11. ელექტრონული ჟურნალის წარმოებასა და მასში არასწორი მონაცემების შეტანისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობა ეკისრება სახერხი საამქროს მფლობელ მეწარმე სუბიექტს.

12. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი ზომების განხორციელების შემდეგ პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაცია და ელექტრონული ცნობის გენერირება ხორციელდება დეპარტამენტის მიერ შესაბამისი წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინების წარდგენის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 ივნისის დადგენილება №287 - ვებგვერდი, 01.07.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება №504 – ვებგვერდი, 15.10.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის დადგენილება №248 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.

მუხლი 18. ელექტრონული ჟურნალის წარმოების მოთხოვნები

1. ელექტრონულ ჟურნალს სახერხი საამქროს მფლობელი აწარმოებს პირადად ან უფლებამოსილი პირის (პირების) მეშვეობით.
2. ელექტრონული ჟურნალის მწარმოებელი პირი უფლებამოსილია, ცხელ ხაზზე (153) სატელეფონო შეტყობინების ან ელექტრონულ ფოსტაზე – help@des.gov.ge შეატყობინოს დეპარტამენტს ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას დაშვებული შეცდომის თაობაზე. ამასთან, შეტყობინებაში უნდა მიეთითოს სახერხი საამქროს დასახელება ან რეგისტრაციის ნომერი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები, შეცდომის არსი და სწორი მონაცემი. აღნიშნულ შემთხვევაში, სახერხი საამქროს მფლობელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ განხორციელდა შეტყობინება მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების ელექტრონული რეგისტრაციიდან 12 საათის განმავლობაში და შეცდომა დაშვებულია რეგისტრირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) მონაცემების (ფირნიშის ნომერი, სახეობა (ჯიში), მორის წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრების სიგრძე) აღრიცხვისას.

3. დეპარტამენტის მიერ შეცდომის გასწორებამდე აკრძალულია იმ მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავება ან გატანა, რომლის მონაცემების ასახვისას იქნა დაშვებული შეცდომა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური შეცდომის დადასტურების შემთხვევაში დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს დადგენილი წესით ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას დაშვებული შეცდომის გასწორებას მონაცემების გადამოწმების საფუძველზე.

5. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ინტერნეტკავშირი ვებპორტალთან https://emoe.gov.ge და შეუძლებელია ელექტრონული ჟურნალის წარმოება, სახერხი საამქროს ელექტრონული ჟურნალის წარმოების აღდგენამდე ეკრძალება:

ა) სახერხ საამქროში ხე-ტყის (მორის) მიღება;

ბ) ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავება;

გ) სახერხი საამქროდან ხე-ტყის (მორის), ასევე მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტისა და წარმოქმნილი ნარჩენის გატანა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №116 - ვებგვერდი, 11.03.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.

მუხლი 19. სახერხი საამქროს ყოველთვიური ანგარიშგების მოთხოვნები

1. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, ყოველთვიური ანგარიშგების მიზნით, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით, დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, სახერხი საამქროს ადგილმდებარეობის მიხედვით, წარუდგინოს ყოველი თვის პირველი რიცხვიდან მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე საანგარიშო პერიოდში გადამუშავებული ან ფანერის (შპონის) წარმოების მიზნით მრგვალი ხე-ტყის (მორის) წინასწარ დამუშავებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკონტროლო ფირნიშები. სახერხი საამქროს მფლობელი უფლებამოსილია, ასევე განახორციელოს მიმდინარე თვეში გადამუშავებული მორების შესაბამისი ფირნიშების წარდგენა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკონტროლო ფირნიშები დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს ჰბარდება მიღება-ჩაბარების აქტით და ჩამოიწერება ელექტრონულ სისტემაში. ჩამოწერილი საკონტროლო ფირნიშები ინახება 1 წლის ვადით და შემდგომში დეპარტამენტი უზრუნველყოფს მათ განადგურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით (დაწვის გზით).

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.

მუხლი 20. სახერხი საამქროს რეგისტრაციის გაუქმება

1. სახერხი საამქროს მფლობელი სახერხი ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის) ან/და მოწყობილობის სრული დემონტაჟის შემდგომ უფლებამოსილია მიმართოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. სახერხი საამქროს რეგისტრაცია გაუქმებულად ითვლება ელექტრონული სისტემაში მისთვის სტატუსის – „გაუქმებული“ მინიჭებისთანავე.

2. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, განცხადებით მიმართოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიული ორგანოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, თუ:

ა) შეიცვალა სახერხი საამქროს ადგილმდებარეობა;

ბ) განხორციელდა იმ მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაცია, რომლის სახელზეც რეგისტრირებულია სახერხი საამქრო.

3. დეპარტამენტი ან მისი ტერიტორიული ორგანო აუქმებს სახერხი საამქროს რეგისტრაციას იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გარდაიცვალა სახერხი საამქროს მფლობელი. აღნიშნულ შემთხვევაში სახერხი საამქრო ექვემდებარება დალუქვას მის სრულ დემონტაჟამდე ან ხელახალ რეგისტრაციამდე;

ბ) სახერხი საამქრო ვერ აკმაყოფილებს ამ რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულ შემთხვევაში, სახერხი საამქრო ექვემდებარება სრულ დემონტაჟს.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, სახერხი საამქროს რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მიმართოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს სახერხი დანადგარების სრული დემონტაჟის დამთავრებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დეპარტამენტი, ან მისი ტერიტორიული ორგანო აუქმებს სახერხი საამქროს რეგისტრაციას მონაცემების ადგილზე დათვალიერების საფუძველზე.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, წარუდგინოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს განცხადება შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, შესაბამისი პროცესის დაწყებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპარტამენტი ან მისი ტერიტორიული ორგანო, განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, სახერხი საამქროს რეგისტრაციას აუქმებს განცხადების მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის დადგენილება №347 – ვებგვერდი, 04.07.2018წ.

მუხლი 21. გარდამავალი დებულებები

1. სახერხი საამქროს მფლობელი მეწარმე სუბიექტი ვალდებულია:

ა) 2015 წლის პირველი დეკემბრიდან უზრუნველყოს ელექტრონული ჟურნალის წარმოება ამ რეგლამენტის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) 2015 წლის პირველი დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, წარუდგინოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს ანგარიში 2015 წლის ნოემბრის თვის განმავლობაში სახერხი საამქროს მიერ მერქნული რესურსის მიღების, გადამუშავების შესახებ და გადამუშავებული მერქნული რესურსის საკონტროლო ფირნიშები, ამ ცვლილებების ამოქმედებამდე დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) 2015 წლის პირველი დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, წარუდგინოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, ამ ცვლილებების ამოქმედებამდე არსებული მოთხოვნების დაცვით, სათანადო წესით დამოწმებული ჟურნალი, დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირის მიერ ჟურნალის დახურვის დამოწმების მიზნით. ამასთან, თუ სახერხ საამქროს შესაბამისი ჟურნალის გაცემიდან 2015 წლის პირველ დეკემბრამდე არ უმუშავია და, შესაბამისად, მორების აღრიცხვა ჟურნალში არ არის

ნაწარმოები, ასეთი ჟურნალი შესაძლებელია გაუქმდეს და მიღება-ჩაბარების აქტით ჩაჰბარდეს დეპარტამენტს;

დ) ამ ცვლილებების ამოქმედებამდე არსებული მოთხოვნების დაცვით, სათანადო წესით დამოწმებული ჟურნალები შეინახოს 6 წლის განმავლობაში, მიუხედავად სახერხი საამქროს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის შეწყვეტისა. საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალი მოთხოვნისთანავე წარედგინოს დეპარტამენტს, ან მის ტერიტორიულ ორგანოს ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მაკონტროლებელ სახელმწიფო ორგანოს;

ე) 2015 წლის 10 დეკემბრამდე ელექტრონულ ჟურნალში დადგენილი წესით დაარეგისტრირონ 2015 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით სახერხ საამქროში არსებული გადაუმუშავებელი მრგვალი ხე-ტყე (მორი), ხე-ტყით მოსარგებლის მიხედვით. ამ შემთხვევაში, ელექტრონულ ჟურნალში შესაბამისი მონაცემების ასახვისას „სატრანსპორტო საშუალების“ ველში დასაშვებია მიეთითოს „ტრანსპორტირების გარეშე“, ხოლო მიღების თარიღად – 2015 წლის პირველ დეკემბრამდე პერიოდი;

ვ) 2017 წლის 10 აპრილამდე ელექტრონულ ჟურნალში (შესაბამის მოდულში) ასახოს სახერხ საამქროში არსებული მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის მოცულობა ხე-ტყის სახეობისა და პროდუქტის ტიპის მიხედვით, რომელიც ამ პერიოდისთვის არ არის გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან შესაბამისი ხე-ტყით მოსარგებლის მიერ. მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ასახვა უნდა განხორციელდეს ელექტრონულ ჟურნალში რეგისტრირებული ხე-ტყის მიღების შესაბამისი უნიკალური ნომრისა და ტყითმოსარგებლის მიხედვით. 2017 წლის 10 აპრილიდან აღნიშნული პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანა განახორციელოს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით;

ზ) 2017 წლის 10 აპრილამდე ელექტრონულ ჟურნალში ასახოს ხე-ტყის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების საერთო ოდენობა, რომელიც ამ პერიოდისთვის არ არის გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიდან ან/და არ არის გამოყენებული სახერხი საამქროს ტერიტორიაზე. 2017 წლის 10 აპრილიდან აღნიშნული ნარჩენების სახერხი საამქროდან გატანა ან/და სახერხი საამქროს ტერიტორიაზე გამოყენება განახორციელოს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

2. 2015 წლის პირველი დეკემბრიდან 2016 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შესაბამისი ფორმის სტამბური წესით დაბეჭდვას უზრუნველყოფს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანო და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის დაბეჭდვისას ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაციის განსაზღვრა ხორციელდება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანოს მიერ სააგენტოსთან შეთანხმებით.

3. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ის ფორმები, რომლებიც ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაციისადმი დაწესებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშეა დაბეჭდილი, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას 2016 წლის პირველ იანვრამდე.

4. 2016 წლის პირველ იანვრამდე გაცემული/შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას 2016 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდშიც, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისადმი ამ რეგლამენტით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, ხე-ტყის ტრანსპორტირებისას გამოიყენება ამ დოკუმენტის მე-2 ეგზემპლარი.

5. ხე-ტყით მოსარგებლე ვალდებულია, 2016 წლის პირველ თებერვლამდე სააგენტოს წარუდგინოს მის მიერ გაუხარჯავი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმები და უფლებამოსილია მათ სანაცვლოდ მიიღოს ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით დამზადებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმები. ამ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების გამოცვლა განახორციელოს უსასყიდლოდ.

6. 2028 წლის 1 თებერვლამდე რეგისტრირებული სახერხი საამქროს მფლობელები ვალდებული არიან, სახერხი საამქროები შესაბამისობაში მოიყვანონ ამ რეგლამენტით დადგენილ 2028 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით არსებულ მოთხოვნებთან და ამავე ვადაში დეპარტამენტში წარადგინონ სახერხი საამქროების განმეორებითი რეგისტრაციის მოთხოვნა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი ვალდებულია, გააუქმოს სახერხი საამქროს რეგისტრაცია, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება სახერხი საამქროს მფლობელს.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის განხილვის პროცესში (განაცხადის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს, ხოლო დეპარტამენტის მიერ განაცხადის განხილვის დასრულებამდე სახერხი საამქრო უფლებამოსილია, გააგრძელოს ფუნქციონირება) დეპარტამენტი დაადგენს, რომ სახერხი საამქრო ვერ აკმაყოფილებს „მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს, სახერხი საამქროს რეგისტრაცია უქმდება არა უადრეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისა.

9. სახერხი საამქროს მფლობელი მეწარმე სუბიექტი, რომელიც აწარმოებს ფანერას (შპონს) და გააჩნია ფანერის (შპონის) წარმოების დანადგარი, ვალდებულია:

ა) 2021 წლის 10 მარტამდე ელექტრონულ ჟურნალში (შესაბამის მოდულში) ასახოს ამ დროისთვის სახერხი საამქროს ტერიტორიაზე არსებული, მრგვალი ხე-ტყის (მორის) წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული 30 სანტიმეტრიდან 1 მეტრამდე სიგრძის დარჩენილი კოტრების (მორის ჩამონაჭრების) საერთო ოდენობა;

ბ) 2021 წლის 10 მარტიდან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარჩენილი კოტრების (მორის ჩამონაჭრების) აღრიცხვა განახორციელოს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 28.03.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №374 - ვებგვერდი, 07.08.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №680 - ვებგვერდი, 31.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №820 – ვებგვერდი, 31.12.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 თებერვლის დადგენილება №75 – ვებგვერდი, 26.02.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მარტის დადგენილება №144 – ვებგვერდი, 01.04.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის დადგენილება №40 – ვებგვერდი, 27.01.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის დადგენილება №298 - ვებგვერდი, 09.06.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის დადგენილება №74 – ვებგვერდი, 22.02.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №518 – ვებგვერდი, 26.12.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 31.01.2025წ.